ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5849158

ნომერი: AR1876281

თარიღი : 22.02.2022

გაცემის თარიღი : 15.03.2022

გაცნობის თარიღი : 08.06.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის ქუჩა, N 99დ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლელა გურგენიძე პ/ნ 01025015894
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 27, ბინა 9

ორგანიზაცია:

- გურგენიძე არქიტექტურა კოდი: 405317697

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 დეკემბრის № 5717735 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 22 თებერვალს №AR1876281 განცხადებით მომართა ლელა გურგენიძემ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 8 დეკემბრის № 5717735 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტენქიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 დეკემბრის №5717735 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ავთანდილ ვარაზის ქუჩა №99დ-ში მდებარე №72.16.33.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 10 იანვრის №5756120 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 10 იანვრიდან 2023 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 8 დეკემბრის №5717735 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 7604.5 კვ.მ-ის ნაცვლად 7534.5 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 155.6 კვ.მ-ის ნაცვლად 153.8 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 635.7 კვ.მ-ის ნაცვლად 633.7 კვ.მ-ის, სარდაფის ფართობად 127.9 კვ.მ-ის ნაცვლად 126.9 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1645.7 კვ.მ-ის ნაცვლად 1429.4 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 118.5 კვ.მ-ის ნაცვლად 130.7 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 1562.4 კვ.მ-ის ნაცვლად 1551.8 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 11850.3 კვ.მ-ის ნაცვლად 11560.8 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გენ-გეგმა და გეგმა-ნახაზები, ასევე შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გენ-გეგმას, გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ასევე, დაადგინა, რომ გენ-გეგმაზე ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად იყო დაფიქსირებული პანდუსის დახრის პროცენტული მაჩვენებლები. შესაბამისად გენ-გეგმა და გეგმა ნახაზები არ იცვლება, ხდება მხოლოდ გენ-გეგმაზე და გეგმებზე ტექნიკური შეცდომების შესწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 დეკემბრის № 5717735 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 დეკემბრის №5717735 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 7534.5 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 153.8 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 633.7 კვ.მ., სარდაფის ფართობად 126.9 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1429.4 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 130.7 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 1551.8 კვ.მ., საერთო ფართობად - 11560.8 კვ.მ.
2. სამსახურის 2021 წლის 8 დეკემბრის №5717735 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა და შესწორებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გენ-გეგმითა და გასწორებული გეგმებით (ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების შესაბამისად დამუშავებული გეგმები).
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 დეკემბრის №5717735 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 დეკემბრის №5717735 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.